

საქართველოს სოც.



საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლობა მთავრობის

კანონის და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და მთავრობის საბჭოს
საქართველოს განკარგულების გამოცემა

1932 წ. მარტის 25.

№ 16

ცენტრ კირველი

შ ი ნ ა რ ს ი

ზ რ ი მ ა

127. სტიქიურ უბედურებასთან ბრძოლისთვის შრომის ბეგარის დაწესების შესახებ.

ზ რ ი მ ა

127. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

სტიქიურ უბედურებასთან ბრძოლისთვის შრომის ბეგარის დაწესების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმსარულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

I. ზოგადი დებულებანი.

1. საქართველოს შრომისუნარიანი მოსახლეობა შეიძლება გაწვეულ იქნეს სტიქიურ უბედურებასთან ბრძოლის სამუშაოებისათვის შრომის ბეგარაზე.

2. შრომის ბეგარაზე მოსახლეობის გაწვევა შეიძლება, როგორც საერთო წესი, მხოლოდ მოვლენილი სტიქიური უბედურების სალოკალიზაციოდ და სალიკიდაციოდ საჭირო სამუშაოებისათვის.

შრომის ბეგარის წესით მოსახლეობის გაწვევა სტიქიური უბედურების წინასწარ თავიდან ასაცილებლად საჭირო სამუშაოებზე შეიძლება მხოლოდ ისეთ შემთხვევაში, როდესაც მმ სამუშაოების შესრულება შეუძლებელია ნებაყოფლობით დაქირავებული მუშა-ძალით და უკეთ სამუშაოების სასწრაფო წესით შესრულებლობას შეიძლება მოჰყვეს კატასტროფული შედეგი.

3. შრომის ბეგარაზე მოსახლეობის გაწვევა შეიძლება მხოლოდ:

ა) წყალდიდობის წინასწარ თავიდან აცილებისა, ლოკოლიზაციისა და ძალის შესუსტებისათვის, აგრეთვე წყალდიდობის რაონში მყოფი ხალხისა, ქონების, შენობებისა, საგუბრებისა, ხიდებისა, სარკინისგზზო ლიანდაგისა და საგზო ნაგებობის დაღუპვისაგან, წალექვისაგან და გარეცხვისაგან გადარჩნისათვის.

ბ) თოვლისა და ყინულისაგან რკინის გზის გაწმენდისათვის დიდი რების ღრმას, როდესაც მოძრაობის აღდგენა რკინის გზის აღმინისტრაციის ძალებით შეუძლებელია;

გ) ტყის ხანძრის ჩაქრობისა და ლოკალიზაციისათვის, როდესაც სატყეო აღმინისტრაციის საკუთარი ძალა ცეცხლთან საბრძოლველად საქმარისი არ არის;

დ) დასახლებულ ადგილებში (ქალაქიდ, დაბად და სოფლად) დიდი ხანძრის ჩაქრობისა და ლოკალიზაციისათვის, როდესაც სახანძრო ორგანიზაციების საკუთარი ძალა ცეცხლთან საბრძოლველად საქმარისი არ არის;

ე) ხალხისა და ქონების გადატენისათვის მიწისძვრის ღრმას, აგრეთვე აფეთქებისა, ზევეისა, მატარებლების თუ გემების ფარისა და სხვა მისოთ ღრმას;

ვ) სასწრავო სასანიტარო ლონისძიებათა განხორციელებისათვის გამწვევებული ეპიდემიის ღრმას, როდესაც ამ ლონისძიებათა ჩატარება ხელისუფლების ორგანოების ჩვეულებრივი საშუალებით შეუძლებელია;

ზ) სასოფლო და სატყეო მცურნეობის მავნებლებთან ბრძოლისათვის მასული დასევის ღრმას, როდესაც ასეთი ბრძოლის ჩვეულებრივი ლონისძიებანი საკმარისი არ არის.

4. შრომის ბევრაზე მოსახლეობის გაწვევა ისეთ სტიქიურ უბედურებასთან ბრძოლისათვის, რაც მე-3 მუხლში აღნიშნული არ არის, შეიძლება მხოლოდ იმ პირობით, რომ ეს დაუყოვნებლივ ეცნობოს საქართველოს სსრ შრომის საბალხ კომისარიატს ან მის რემუნებულებს ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქში—კუთვნილებისამებრ.

5. შრომის ბევრა სტიქიურ უბედურებასთან ბრძოლისათვის ხორციელდება როგორც გასაწვევი მოსახლეობის პირადი შრომით, ისე მის მიერ თავისი მუშა-საქონლის გამოყენით და ჭაპანზიდვის ტრანსპორტის საშუალებათა და აგრეთვე ავტო-მოტო-ტრანსპორტის გამოყენებით (შრომის საჭაპანზიდვო ბევრა, შრომის საცემო-მოტო-ტრანსპორტო ბევრა).

II. შრომის ბევრაზე გასაწვევ პირთა შრე, გაწვევის ვადა და მანძილი.

6. შრომის ბევრაზე სტიქიურ უბედურებასთან ბრძოლისათვის შეიძლება გაწვეულ იქნეს ყველა მოქალაქე, ქვემომდევნო მუხლებში აღნიშნულ გამონაკლისთა გარდა.

7. შრომის ბევრაზე სრულიად არ გაიწვევა:

ა) ის პირი, რომელსაც 18 წელი არ შესრულებია;

ბ) 45 წლისაზე უფროსი მამაკაცი;

გ) 40 წლისაზე უფროსი ქალი;

8. შრომის ბევრაზე გაწვევისაგან განთავისუფლდება:

ა) შრომის და ომის ინვალიდი;

ბ) ის პირი, რომელსაც ავადმყოფობისა თუ დაშავების გამო დაუკარგავს დროებით შრომის უნარი, — იმ ხნის განმავლობაში, რაც საჭიროა შრომის უნარის აღდგენისათვის;

გ) ორსული ქალი 8 კვირით წინ მშობიარობაშე და მშობიარე 8 კვირის განმავლობაში მშობიარობის შემდეგ;

დ) ძებუს მაწვევებელი ქალი;

ე) ქალი, რომელსაც ჰყავს ბავშვები ასაკით 8 წლამდე, უკეთუ მათ სხვა მომელელი არა ჰყავთ.

9. შრომის ბეგარაზე გაწვევისაგან განთავისუფლდება აგრეთვე ის პირი, რომელიც იმყოფება ნაძვიალ სამხედრო სამსახურში მუშაობა და გლეხთა წითელ არმიისა და ფლოტში.

10. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს, ივტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალური იმპასრულებელი კომიტეტებისა, სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა და დამოუკიდებელ საადმინისტრაციო-სამეცნიერო ერთეულებად გამოყოფილი ქალაქების საქალაქო საბჭოების დადგენილებებით შეიძლება სხვა დამატებითი შეღავათების მიცემაც, შესასრულებელ სამუშაოთა ხასიათისა, ადგილობრივი პირობებისა, ოჯახური და სამსახურებრივი მდგომარეობისა და ჯანმრთელობის მიხედვით.

11. მდედრობითი სქესის პირთა გაწვევა შრომის ბეგარაზე სტიქიურ უბედურებასთან ბრძოლისათვის შეიძლება უმთავრესად მხოლოდ ამა დადგენილების მე-3 მუხლის „ვ“ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში და აგრეთვე იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა დახმარების გაწვევა დაჭრილთა და ავადმყოფთათვის.

12. კელა შემთხვევაში, გარდა მე-3 მუხლის „დ“, „ე“ და „ვ“ პუნქტებში აღნიშნულისა, შრომის ბეგარაზე სტიქიურ უბედურებასთან ბრძოლისათვის გაიწვევა მხოლოდ იმ ადგილის მოსახლეობა, რომელზედაც ვრცელდება სასოფლო-სამეცნიერო გადასახადის დებულების მოქმედება.

სხვა დასახლებული ადგილების მოსახლეობის გაწვევა შრომის ბეგარაზე შეიძლება მხოლოდ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს ან ივტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალური იმპასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმების წებართვით.

13. მოსახლეობის გაწვევა შრომის ბეგარაზე სტიქიურ უბედურებასთან ბრძოლისათვის არ უნდა აღმატებოდეს 5 დღეს საოპერაციო წელიწადში, გარდა მუშა-საქონლის და სატრანსპორტო საშუალებათა გაყოლის შემთხვევისა, როდესაც გაწვევის ვადა შეთანხმებულ უნდა იქნეს მუშა-საქონლის და სატრანსპორტო საშუალებათა გამოყვანის ვადასთან (მუხ. 22), და გარდა 41 მუხლში გათვალისწინებული შემთხვევისა.

აღნიშნული ვადის განგრძობა შეიძლება მხოლოდ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს ან ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალური იმპასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმების წებართვით.

14. შრომის ბეგარაზე გაწვევის მანძილი, როგორც საერთო წესი, არ უნდა აღმატებოდეს 8 კილომეტრს გაწვეულის საცხოვრებელი აღგილიდან, გარდა მუშა-საქონლის და სატრანსპორტო საშუალებათა გაყოლის შემთხვევისა, როდე-საც გაწვევის მანძილი შეიძლება გადიდებულ იქნეს 20 კილომეტრამდე.

სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა და დამოუკიდებელ სააღმი-ნისტრაციო-სამეურნეო ერთეულებად გამოყოფილი ქალაქების საქალაქო სა-ბჭოების პრეზიდიუმებს უფლება აქვთ, აღგილობრივი პირობების მიხედვით, გაა-დიდონ ამა მუხლში აღნიშნული შლერული მანძილი, ხოლო არა უმეტეს ვიდრე 50 პროცენტით.

გაწვევის მანძილის ამაზე მეტად გადიდება შეიძლება მხოლოდ საქართვე-ლოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს ან ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუ-მების ნებართვით.

III. შრომის ბეგარაზე გამოსაყენებელი ინსტრუმენტი, იარაღი, მუშა-საქონელი და სატრანსპორტო საშუალებანი.

15. სტიქიურ უბედურებასთან ბრძოლისათვის შრომის ბეგარაზე გასაწვევ პირთ შეიძლება დაევალოთ—გამოცხადდნენ თავიანთი ინსტრუმენტებით და ია-რალით, რაც საჭიროა სტიქიურ უბედურებასთან ბრძოლისათვის.

16. შრომის ბეგარაზე გასაწვევ პირთ შეიძლება დაევალოთ—გამოცხადდენ თავიანთი მუშა-საქონლით და საჭაპანზიდვო საშუალებებით (შრომის საჭაპან-ზიდვო ბეგარა) და აგრეთვე ავტო მოტო ტრანსპორტორით (შრომის საავტო-მოტო-ტრანსპორტორო ბეგარა).

17. სახელმწიფო დაწესებულებათ და საწარმოთ, გარდა სამხედროსი, და კომპერატიულ და სახოგადოებრივ ორგანიზიციებს შეიძლება დაევალოთ—გა-მოიყვანონ თავიანთი მუშა-საქონელი და გამოიტანონ თავიანთი სატრანსპორტო საშუალებანი.

18. შრომის საჭაპანზიდვო ბეგარაზე არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს:

ა) ხნოვანბით 4 წლისაზე მცირე მუშა-საქონელი;

ბ) ჯიშიანი ოთვეები საქონელი მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ორგანოებში დარეგისტრებული;

გ) ისეთი მუშა-საქონელი, რომელიც დაავადებულია და მუშაობისათვის არ გამოდგება, და აგრეთვე ისეთი საქონელი, რომელიც, სენის ხასიათის მიხე-დვით, განცალკევებულ უნდა იყოს; ისეთი საქონელი არ გამოიყენება ბეგარაზე აეაღმყოფობის განმავლობაში;

დ) მუშა-საქონელი ისეთი აღგილიდან, სადაც დაწესებულია საეკრერინარო კარანტინი (უკეთე ბეგარის წესით იგი წარგზავნილ უნდა იქნეს კარანტინისა-გან თავისუფალ აღგილას).

19. სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებსა და დამოუკიდებელ სააღმინისტრაციო-სამეცნიერო ერთეულებად გამოყოფილი ქალაქების საქალაქო საბჭოებს შეუძლიანთ, ადგილობრივი პირობებისა და სამუშაოების ხასიათის მიხედვით, გაანთავისუფლონ აგრეთვე სხვა საქონელიც შრომის ბევრის წესით გამოყენებისაგან.

20. სატრანსპორტო საშუალებათა და თანგამყოლი მუშა-ძალის გაწვევის მანძილი არ უნდა აღემატებოდეს 20 კილომეტრს მათი მუდმივი სამყოფელი ადგილიდან; ამასთანავე, როგორც სატრანსპორტო საშუალებებზე, ისე თანგამყოლ მუშა-ძალაზე შეიძლება გაერცელებულ იქნეს მე-14 მუხლის მე-2 და 3 ნაწილში აღნიშნული გამონაკლისები.

21. შრომის საჭაპანზიდვო ბევრაზე ცოცხალ საწევძალიან სატრანსპორტო საშუალებათა გაწვევის დროს:

ა) სამუშაო დღის განმავლობაში გასავლელი მანძილი არ უნდა აღემატებოდეს:

ცხენის საწევძალიანი სატრანსპორტო საშუალებისათვის—25-30 კილომეტრს, ხოლო ხარის თუ კამეჩის საწევძალიანი სატრანსპორტო საშუალებისათვის—15-20 კილომეტრს;

ბ) სატრანსპორტო საშუალებათა დატეირითვა უნდა სწარმოებლეს ადგილის რელიეფისა და გზების მდგრამარეობის მიხედვით, ხოლო არ შეიძლება აღმატებოდეს 1-1,5 ტონას ერთი წყვილი ცხენის შებმულობაზე და 0,751,25 ტონას ერთი ულელი ხარისა თუ კამეჩის შებმულობაზე.

22. ცოცხალი საწევი ძალის გამოყენება შრომის ბევრის წესით არ უნდა აღემატებოდეს 10 სამუშაო დღეს წელიწადში.

23. ისეთი მეურნეობის მუშა-საქონელი და სატრანსპორტო საშუალება, რომლის შედგრილებაშიაც შრომისენარიანი პირი არ არის, ან ისეთი მეურნეობისა, რომელიც განთავისუფლებულია შრომის ბევრისაგან, გამოყენებულ უნდა იქნეს უპირატესად მსუბუქ სამუშაოებზე და თანაც ისე, რომ საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების სახლში არყოფნა არ გაგრძელდეს ოვითეულჯერ ერთ დღე-ღამეზე მეტ ხანს. ასეთ შემთხვევაში ტრანსპორტის თანამყოლად დაინიშნება ამ მეურნეობის პატრონის ნათესავი ან ისეთი პირი, რომელსაც თვით მეურნეობა მიანდობს თავის საქონელს და სატრანსპორტო საშუალებას.

IV. შრომისა, ინსტრუმენტისა, იარაღისა, მუშა-საქონლისა და ხატრანსპორტო საშუალების სასყიდელი და შრომის ბევრაზე გაწევეულ პირთა კმაყოფა და უზრუნველყოფა.

24. სასყიდელი შრომის ბევრის წესით წარმოებული მუშაობისათვის უნდა გაიღოს სამუშაოების მწარმოებელმა ორგანომ (მუხ. 45) ადგილობრივი სახსრიდან ან სპეციალურად საამისოდ გადადებული სახსრიდან.

უკეთუ მუშაობა წარმოებულია რომელიმე უწყების უშუალო საჭიროები-სათვის ან ამ უწყების ქვემდებარე დაწესებულებისა და საჭარმოს საჭიროები-სათვის, სასყიდელს ამ მუშაობისათვის გაიღებს ეს უწყება, დაწესებულება ან საწარმო.

25. შრომის ბეგარაზე გაწვეულ პირთა შრომის სასყიდლის ნორმებს გან-საზღვრავენ საქართველოს სსრ შრომის სახალხო კომისარიატი და მისი რწმუ-ნებულნი ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქში ნარდობის პრინ-ციპის მიხედვით, ხოლო ეს ნორმები არ შეიძლება იყოს არაკვალიფიციური მუშის ადგილობრივ განაკვეთზე ნაჯლები.

26. ინსტრუმენტის და იარაღისა, მუშა-საქონლისა და სატრანსპორტო სა-შუალების გამოყენების სასყიდლის ნორმებს განსაზღვრავენ საქართველოს სსრ მომარაგების სახალხო კომისარიატი და მისი რწმუნებულნი ავტონომიურ რეს-პუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქში.

27. სასყიდელი შრომისათვის და ინსტრუმენტისა, იარაღისა მუშა-საქონ-ლისა და სატრანსპორტო საშუალების გამოყენებისათვის გადახდილ უნდა იქნეს:

ა) უკეთუ მუშაობა გაგრძელდა არა უმეტეს 5 დღისა—დაუყოვნებლივ, სა-მუშაოს დამთავრებისთანავე;

ბ) უკეთუ მუშაობა გრძელდება 5 დღეზე მეტ ხანს—თვითეულ 5 დღეში ერთხელ მაინც.

28. უკეთუ მოსალოდნელი სტრიქიური უბედურების წინასწარ თავიდინ აცი-ლებაში ანუ უკეთ მოვლენილი უბედურების ლიკვიდაციასა თუ ლოკალიზაციაში უშუალოდ დაინტერესებულია ყველა ის მოქალაქე, რომელიც გაწვეულ უნდა იქნეს შრომის ბეგარის წესით (მოქალაქეთა პირადი და ქონებრივი უში-შროების დაცვისათვის საჭირო ღონისძიების მიღება), სარაიონო აღმასრულე-ბელ კომიტეტებს და დამოუკიდებელ საადმინისტრაციო-სამეურნეო ერთეულე-ბად გამოყოფილი ქალაქების საქალაქო საბჭოებს უფლება აქვთ დაადგინონ შრო-მის ბეგარაზე მოსახლეობის უსასყიდლოდ გაწვევა.

სხვა შემთხვევაში სტრიქიურ უბედურებასთან ბრძოლისათვის უსასყიდლო შრომის ბეგარის შემოლება შეიძლება მხოლოდ საქართველოს სსრ სახალხო კო-მისართა საბჭოს ან ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების ნებართვით.

29. შრომის ბეგარაზე გაწვეული პირნი იკვებებიან საკუთარი ხარჯით.

30. შრომის ბეგარაზე გამოსაყენებელი მუშა-საქონელი იკვებება თავისი პატრონის ხარჯით.

სათბობი მასალით სატრანსპორტო საშუალებანი უნდა უზრუნველჰყონ ბე-გარის ჩამტარებელმა ორგანოებმა.

31. სასტელი წყლის მიწოდება და სურისათისა, ფურავისა და სათბობი, საცხები და სხვა მასალის მიზიდვა უნდა მოწყონ ბეგარის ჩამტარებელმა ორ-განოებმა.

საზოგადოებრივი კედის ორგანიზაციებმა უნდა გახსნან შრომის ბეჭარის ჩატარების აღვილებში სასურსათო ფარდულები.

32. შრომის ბეგარაზე გაწვეულთა უზრუნველყოფას სასწრაფო სამედიცინო დამარებით ანხორციელებენ ბეგარის ჩატარებელი ორგანოები.

33. უკეთ გაწვევა ხდება ისეთ მანძილზე საცხოვრებელი აღვილიდან, რაც 8 კილომეტრს ალექსანდრება, გაწვეულს უნდა მიეჩინოს უფასოდ სადგომი ღამის გასათვევად.

34. შრომის ბეგარაზე მუშაობის დროს ან ამ მუშაობის გამო განაცალი ზარალი საქონლის გაწყდომისა თუ დაავადებისაგან ან სატრანსპორტო საშუალებისა და ინვენტარის დაზიანებისაგან აენაზლაურება პატრონს ნატურით თუ ფულად საბაზრო ლირებულების მიხედვით, 26 მუხლში აღნიშნული წესის თანახმად.

შენიშვნა 1. ამ მუხლში აღნიშნული ზარალი არ უნდა იქნეს ანაზლაურებული, უკეთ იგი მოხდა საქონლის, სატრანსპორტო საშუალების და ინვენტარის პატრონის განზრახვით.

შენიშვნა 2. დავა შრომის ბეგარის აღსრულების დროს მომხდარი ზარალის ანაზლაურების შესახებ გადაწყვეტილ უნდა იქნეს სასამართლო წესით.

35. ის პირი, რომელიც დაკარგავს შრომის უნარს შრომის ბეგარის შესრულების გამო, ხოლო მისი სიკედლის შემთხვევაში მისი ოჯახის შრომის უზნარო წევრნი უნდა უზრუნველყონ სოციალური უზრუნველყოფის ორგანოებმა საერთო საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, რაც იწვევს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 403 და 404 მუხ. შეფარდებას.

V. შრომის ბეგარის მომზადებისა, დანიშნინისა და ჩატარების წესი.

36. შრომის ბეგარა, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც შეუძლებელია წინასწარ იმის დანახვა, საჭირო იქნება თუ არა ბეგარის დანიშნა, გათვალისწინებულ უნდა იქნეს იმ სამუშაოების განსაკუთრებული გეგმებით, რაც შესასრულებელია შრომის ბეგარის შეფარდებით.

ამ გეგმებს შეიმუშავებენ და სათანადო ხარჯთაღრიცხვებს შეადგენენ: რესპუბლიკური მნიშვნელობის მქონე სამუშაოებისათვის—სათანადო ცენტრალური ორგანოები, რომელიც ამ სამუშაოებს აღმინისტრირებენ, ხოლო აღვილობრივი მნიშვნელობის მქონე სამუშაოებისათვის—სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტები ან საქალაქო საბჭოები; ეს გეგმები და ხარჯთაღრიცხვები დამტკიცებულ უნდა იქნეს საერთო წესით, რაც დაღვენილია ამგვარი გეგმებისა და ხარჯთაღრიცხვების დამტკიცებისათვის.

37. სამუშაოების გეგმებით გაითვალისწინება მუშაობისათვის საჭირო სამუშაო დღეებისა, საზიდავ-დღეებისა და ავტო-მოტო-დღეების საერთო რაოდენობა და მათი განაწილება რაონებსა, საქალაქო საბჭოებსა და სალოფლო საბჭოებს შორის, ან, უკეთ სამუშაოები წარმოებულ უნდა იქნეს განსაკუთრებულ უბნებში,—სათანადო უბნებს შორის.

38. სამუშაოების გეგმების შესაბამისად ხარჯთაღრიცხვებით უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ხარჯები მუშაობის ორგანიზაციისა, ტექნიკური ზედამხედველობისა, ინსტრუმენტების შეძენისა და სამუშაო ხელფასის გაცემისათვის, როდესაც შრომის ბეგარა ფასიანია, და სხვა საჭიროებისათვის, რაც დაკავშირებულია განჩრახულ სამუშაოებთან.

39. მდ საორგანიზაციით ღონისძიებათა განხორციელებამდე, რაც უზრუნველჰყოფს მუშა-ძალისა და სატრანსპორტო საშუალებათა წესიერ და ნაყოფიერ გამოყენებას, შრომის ბეგარაზე შოსახლეობის გაწვევა არ შეიძლება.

40. სამუშაოების გეგმებით გათვალისწინებული სამუშაო დღეების საერთო რიცხვი, რაც სათანადო ადგილის მოსახლეობაზე მოდის, განაწილდება, ამა თუ იმ ბეგარისათვის დადგენილ ფარგლებში, ყველა ბეგარა-გალდებულ პირთა შორის სათანაბროდ.

41. ისეთ შემთხვევებში, როდესაც მოსახლეობის შრომის ბეგარა მთლად გამოიყენებულია, ხოლო დაწყებული სამუშაოების დასამთავრებლად ან დამატებითი სამუშაოების საწარმოებლად იგი საკმარისი არ აღმოჩნდა, შრომის ბეგარაზე შეიძლება დამატებით გაწვეულ იქნენ, მე-13 მუხლით გათვალისწინებულ ფარგლებში, ის პირი, რომელთა მეურნეობაც სასოფლო-სამეურნეო გადასახადით იბეგრება ინდივიდუალური წესისმებრ, და ის პირი, რომელიც საშემსავლო გადასახადით იბეგრებიან ამ გადასახადის მე-3 №-ის განრიგების თანახმად.

42. შრომის ბეგარის ჩასატარებლად საჭირო საზიდავ-დღეების ან ავტომოტო-დღეების საერთო რიცხვი განაწილდება ყველა იმ მეურნეობასა და ორგანიზაციის შორის, რომელიც მოვალეი არიან გამოიტანონ საზიდავები და ავტო-მოტოები, პროპორციულად იმ მუშა-საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებათა შესაბამისად, რაც მათ ხელთაა.

43. სტიქიური უბედურების წინასწარ თავიდან აცილებისათვის მოსახლეობა შრომის ბეგარაზე გაწვეულ უნდა იქნეს, რამდენადაც ეს შესაძლებელია, მხოლოდ მინდვრის მუშაობისაგან თავისუფალ დროს.

კერძოდ, შრომის ბეგარა წყალდიღობისაგან მოსალოდნელი სტიქიური უბედურების წინასწარ თავიდან ასაცილებლად საჭირო მუშაობისათვის შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ შემდეგ პერიოდში: თებერვლის 1-დან ივნისის 1-მდე და ოქტომბრის 15-დან ნოემბრის 30 მდე.

44. მოსახლეობა შრომის ბეგარაზე გაიწვევა სარაიონო იღმისარულებელი კომიტეტებისა და დამოუკიდებელ სააღმინისტრაციო-სამეურნეო ერთეულებად გამოყოფილი ქალაქების საქალაქო საბჭოების განკარგულებით, ან სასოფლო საბჭოებისა და სხვა ქალაქების საქალაქო საბჭოების განკარგულებით, თანახმად სათანადო სარაიონო იღმისარულებელი კომიტეტის და დამოუკიდებელ სააღმინისტრაციო-სამეურნეო ერთეულად გამოყოფილი ქალაქის საქალაქო საბჭოს ნებართვისა.

დაუყოვნებელ შემთხვევაში მოსახლეობის გაწვევა შრომის ბეგარაზე გაწვევა ძლიან სასოფლო საბჭოს და ორიონში შემავალი ქალაქის საქალაქო საბჭოს, ზე-მდგომი აღმასრულებელი კომიტეტის ან საქალაქო საბჭოს წინასწარი ნებართვის გარეშეც, ხოლო, ამასთანავე, მოსახლეობის ბეგარაზე გაწვევა აუცილებლად დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ზემდგომ აღმასრულებელ კომიტეტს ან საქალაქო საბჭოს.

45. უკეთუ განსაზღვრული სამუშაოებისათვის ხელმძღვანელობის გასაწვევად არსებობს სპეციალური ორგანო, ამ სამუშაოების წარმოებისათვის შრომის ბე-გარის დანიშვნა შეიძლება მხოლოდ ამ ორგანოს მოთხოვნით ან მასთან შეთან-ხმებით.

46. შრომის ბეგარის ჩატარება ეკისრება სარაიონო აღმასრულებელი კო-მიტეტებისა და საქალაქო საბჭოების სათანადო ორგანოებს და სასოფლო საბ-ჭოებს ან სპეციალურ ტრანსპორტის—სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების საერთო ხელმძღვანელობით.

47. ზედამხედველობას შრომის დაცვის სფეროში შრომის ბეგარის წესით ჩასატარებელ სამუშაოებზე ანხორციელებენ შრომის სახალხო კომისარიატის ადგილობრივი ორგანოები.

48. უკეთუ შრომის ბეგარა-გაზლებული პირი არ გამოცხადდა ან არ წა-რადგინა მუშა-საქონელი და სატრანსპორტო საშუალებანი დანიშნულ დროს და ადგილს, მუშაობა-გაცდენილი დღეები, საზიდავ-დღეები და ავტო-მოტო დღე-ები გაზღიურება ფულად შესატანზე, სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა და დამოუკიდებელ საადმინისტრაცია-სამეცნიერო ერთეულებად გამოყოფილი ქალაქების საქალაქო საბჭოების მიერ დადგენილი ნორმების მიხედვით, უწყებულ ადგილს არაკვალიფიციურ მუშა-ძალზე, მუშა-საქონელზე და სატრანსპორტო საშუალებებზე არსებული საშუალო ფასების შესაბამისად, და გადახდევინებულ იქნება საქალაქო საბჭოებისა და სასოფლო საბჭოების მიერ გადასახადთა გა-დახდევინების დებულებაში გათვალისწინებული წესების თანახმად.

49. წინა მუხლში აღნიშნული თანხები მიიქცევა ადგილობრივ ბიუჯეტში. ინსტრუქციას ამ თანხების გადახდევინებისა, შენახვისა, აღნუსხვისა და ხარჯვის შესახებ გამოსცემს ფინანსთა სახალხო კომისარიატი.

50. შრომის ბეგარაზე უარის თქმა ან ამ ბეგარისაგან თავის არიდება, 48 მუხლში აღნიშნული ფულადი გადასახდელის გარდა, გამოიწვევს აგრეთვე პასუ-ხისმგებლობას სისხლის სამართლის კოდექსის 61 მუხ. თანახმად.

51. შრომის ბეგარაზე გაწვეული მოსახლეობის შრომისა თუ გამოყანილი მუშა-საქონლის და სატრანსპორტო საშუალებების გამოყენება არაპირდაპირი დანიშნულებისამებრ ან ამა დებულებაში გათვალისწინებული წესების დარღვე-ვით გამოიწვევს დამნაშავე თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობას სისხლის სამართლის კოდექსის 114 მუხლის თანახმად.

410
№ 16

52. შრომის ბეგარაზე მოსახლეობის გაწვევა იმ ადგილებში, სადაც მემკვიდრეობა დებულია რევოლუციონური წესრიგის დაცვის, საგანგებო ღონისძიებანი განსაკუთრებული ან სამხედრო წესების სახით, მოხდება განსაკუთრებული წესის თანახმად.

53. ინსტრუქციას ამა დადგენილების შეფარდებისათვის გამოსცემს შრომის სახალხო კომისარიატი დაინტერესებულ უწყებებთან შეთანხმებით.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. პ. აღნიაშვილი.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მრივანი ს. თოდრია.

1932 წ. მაისის 13.

ტფილის.